	პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი,კუმურდო,ხოსპიო,გომანი,ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა , ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 90,5 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ახალქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავედება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ქ. ახალქალაქის მიმდინარე ტერიტორია და მოსახლეობისათვის გასართობი ადგილები.

პროგრამის დასახელება	კოდი	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	03 02		**81,7**	**120,0**	**130,0**	**140,0**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ახალქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 6 საშტატო ერთეულისაგან.					
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები.					

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2021 ფაქტი**	**2022 წლის გეგმა**	**2023 წლის პროექტი**	**2024 პროგნოზი**	**2025 პროგნოზი**	**2026 პროგნოზი**
04 00	განათლება	**2 687,5**	**3 322,9**	**2 871,0**	**2 600,0**	**3 150,0**	**3 047,1**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 426,8	2 095,0	2 621,0	2 500,0	2 600,0	2 700,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 083,1	990,8	250,0	100,0	550,0	347,1
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	177,6	237,1	0	0	0	0

პროგრამის დასახელება	კოდი	**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	04 01		**2621,0**	**2500,0**	**2 600,0**	**2700,0**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 სრული საბავშვო ბაღი და 3 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1200 -ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 229 ადამიანი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:					

	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა
მოსალოდნელი შედეგი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა აღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათშორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღების გაერთიანება შიდა საქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1200 ბავშვი.

პროგრამის დასახელება	კოდი	**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	04 02		**250,0**	**100,0**	**550,0**	**347,1**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	ყოველწლიურად ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და და საბავშვო ბარერბის მოსწავლეტა ტრანსპორტით უზრუნველყოფა					
მოსალოდნელი შედეგი	განათლების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება					

პროგრამის დასახელება	კოდი	**საჯარო სკოლების დაფინანსება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	04 03				**0**	**0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	განათლების ხარისხის ამაღლებისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება 2022-2023 სასწავლო წლისათვის.					
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებს რომლებშიც არ არის საჯარო სკოლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასკოლო ტრანსპორტით და მიიღონ საშუალო განათლება.					

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	**1 241,7**	**1 810,0**	**1 952,8**	**1 954,0**	**1 994,0**	**2 041,0**

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	564,6	915,7	997,4	**985,0**	**1 003,0**	**1 025,0**
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	62,3	129,3	130,7	110,0	114,0	120,0
05 01 02	სპორტილი დაწესებულებების ხელშეწყობა	502,3	786,4	866,7	875,0	889,0	905,0
05 01 02 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	179,5	233,9	273,0	275,0	277,0	280,0
05 01 02 02	საჯადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	38,1	47,9	67,7	70,0	72,0	75,0
05 01 02 03	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	205,5	265,8	278,0	280,0	285,0	290,0
05 01 02 04	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	79,2	238,8	248,0	250,0	255,0	260,0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	0	0	0	0	0	0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	677,1	894,3	955,4	969,0	991,0	1 016,0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	80,5	172,5	162,0	165,0	168,0	171,0
05 02 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	562,0	669,9	737,5	748,0	765,0	785,0
05 02 02 01	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	98,8	107,0	120,6	122,0	125,0	127,0
05 02 02 02	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	154,0	189,4	197,0	198,0	200,0	203,0
05 02 02 03	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	138,0	162,8	178,6	180,0	183,0	185,0
05 02 02 04	სამხატვრო სკოლისხელშეწყობა	53,3	69,4	77,6	78,0	80,0	82,0
05 02 02 05	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	40,7	53,5	58,0	60,0	62,0	65,0
05 02 02 06	აშუღის სკოლის ხელშეწყობა	25,7	27,7	30,7	32,0	35,0	38,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
05 02 02 07	მომავლის სახლის ხელშეწყობა	51,5	60,1	75,0	78,0	80,0	85,0
05 02 03	საინფორმაციო პროგრამა	34,6	51,9	55,9	56,0	58,0	60,0
05 02 04	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	0	0	0	0	0	0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 01 01		**130,7**	**110,0**	**114,0**	**120,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების და ჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით. პროგრამისმიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოვება.					
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიბები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტიბარიერების გარეშე, ევროპისსპორტისკვირეული, მასტერ ლიგა, სამოყვარულო ფეხბურთი, სპორტის სხვადსხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის პირველობა, ქალთა სპორტული ღონისძიებები და სხვა;					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სპორტული სკოლის ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 01 02 01		**273,0**	**275,0**	**277,0**	**280,0**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:** • ფეხბურთი • მინი ფეხბურთი • მაგიდის ჩოგბურთი • რაგბი • კარატე • ფრენბურთი • თავისუფალი სტილით ჭიდაობა მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (ფრენბურთი; ფეხბურთი; ჭიდაობა; რაგბი; კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელიწლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტული სკოლით სარგებლობს 180 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 01 02 02		**67,7**	**70,0**	**72,0**	**75,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ფუნქციონირებს ჭადრაკის სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.** მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საჭადრაკო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:					
მოსალოდნელი შედეგი	საჭადრაკო სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საჭადრაკო სკოლით სარგებლობს 75 მოსწავლე.					

ქვეპროგრამის	კოდი	**სპორტული კომპლექსის**	2023 წლის	დაფინანსება 2024	დაფინანსება 2025	დაფინანსება 2026 წლის

დასახელება		**ხელშეწყობა**	დაფინანსება ათას ლარში	წლის ათას ლარში	წლის ათას ლარში	ათას ლარში
	05 01 02 03		**278,0**	**280,0**	**285,0**	**290,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსი					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:** • კრივი; • კიკბოქსინგი; • კარატე; • კარატე კიოკუშინკაი; • სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში; ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ: სოფელ კარტიკამში კრივის სექცია -55 მოსწავლე; კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 28 მოსწავლე; ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე; მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კინკბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:					
მოსალოდნელი შედეგი	სპორტ-კომპლექსი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სხვადასხვა სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტ-კომპლექსით სარგებლობს 408 მოსწავლე.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**საცურაო სპორტისა და ფიტნესის განვითარების ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 01 02 04		**248,0**	**250,0**	**255,0**	**260,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დახურული საცურაო აუზი					

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:** • ცურვა • ფიტნესი მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საცურაო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:
მოსალოდნელი შედეგი	საცუარო აუზი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საცურაო აუზით სარგებლობს 120 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**კულტურის ღონისძიებების დაფინანსება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 01		**162,0**	**165,0**	**168,0**	**171,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას.					
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანებისმოტივაცია.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 01		**120,6**	**122,0**	**125,0**	**127,0**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება -ფუნქციონირებს შემდეგი წრე** საბიბლიოთეკო გაერთიანების შემადგენლობაში შედის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკა. • ლიტერატურის წრე; • რესტავრაციის წრე.
მოსალოდნელი შედეგი	მომხმარებელთა სრული უზრუნველყოფა წიგნებითა და შესაბამისი ინფორმაციით

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 02		**197,0**	**198,0**	**200,0**	**203,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება:** რომლის შემადგენლობაშიც შედისახალქალაქის კულტურის სახლი და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული კლუბები, რომლის რაოდენობაც შეადგენს 33 კლუბს. კლუბებში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფესტივალებში. **ახალქალაქის კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:** • სომხური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯავახკი“. • ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“. • ქართული თეატრი; • სომხური თეატრი; • თოჯინების თეატრი; • ხალხური ინტრუმენტალური ანსამბლი; • საესტრადო ანსამბლი; • საბავშვო თეატრი. • სულ: 200 მოსწავლე კლუბებში გაერთიანებულია ანსამბლები "ჯავახკი" და "მურჯი", აგრეთვე თოჯინების თეატრი, და ყველა სასოფლო კლუბში მოღვაწეობს თითო ცეკვის ანსამბლი, რომელთის ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 660 ბავშვს, რაც ხელს უწობს ახალგაზრდებისათვის ხელოვნების მიმართულებით უნარ - ჩვევების განვითარებას.					
მოსალოდნელი შედეგი	ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების აღზრდა და განვითარება					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 03		**178,6**	**180,0**	**183,0**	**185,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	**ა(ა)იპ ახალქალაქი სსამუსიკო სკოლა**					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები: • ფორტეპიანო • კლარნეტი • აკორდეონი • გიტარა სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტალური უნარ - ჩევების შესწავლას ეუფლება 180 მოსწავლე					
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა სახელოვნებო დარგის შესწავლა, კულტურის პოტენციალის გაზრდა.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 04		**77,6**	**78,0**	**80,0**	**82,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის სამხატვრო სკოლა					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ა(ა)იპ სამხატვრო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:** • ფერწერა • ნახატი • დეკორატიული ხელოვნება • კომპოზიცია • ხელოვნების ისტორია სულ: 35 მოსწავლე ხატვას, დეკორატიულ ხელოვნებას, ქარგვას, ფერწერას და სხვა სახელოვნებო დარგს ეფულება 35 მოსწავლე, რაც ხელს უწობს მათ კულტრულ განვითარებას					
მოსალოდნელი შედეგი	კლასიკური მუსიკის, სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული შესწავლა, კულტურის პოტენციალის გაზრდა.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 05		**58,0**	**60,0**	**62,0**	**65,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილია არქეოლოგიური ექსპონატები, ეროვნული სამოსი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გამოჩენილი ადამიანების ძველი ხელნაწერები, სურათები, ნუმიზმატიკა, და ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები.					
მოსალოდნელი შედეგი	უფრო მეტი ვიზიტორი გაეცნობა ადგილობრივ კულტურასა და ისტორიას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციასა და ტურიზმის განვითარებას.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**აშუღის სკოლის ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 06		**30,7**	**32,0**	**35,0**	**38,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის სააშუღო სკოლა					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ა(ა)იპ სააშუღო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:** • აშუღის • დოლი • ფორტეპიანო • დუდუკი • აკორდეონი სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული უნარ - ჩევების შესწავლას ეუფლება 25 მოსწავლე					
მოსალოდნელი შედეგი	სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული უნარ - ჩევების განვითარება					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**მომავლის სახლის ხელშეწყობა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 02 07		**75,0**	**78,0**	**80,0**	**85,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მომავლის სახლი					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	**ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:** • ინგლისური ენა; • ქართული ენა; • სომხური ენა; • სამუსიკო; • მძივების ქსოვა; • თოჯინები; • ქარგვა; • ხელმარჯვე ოსტატები. მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებსა და ღონისძებებში; ქვეპროგრამის მიზანია: კულტურათშორისი დიალოგის განვითარება- გაღრმავებას, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურის და ტრადიციების შენარჩუნება - განვითარება, მონაწილეთა შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამვლენა, უფრო მეტ ახალგაზრდას უჩნდება ხელოვნებისადმი ინტერესი.					
მოსალოდნელი შედეგი	მომავლის სახლი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; სადაც ხელოვნებას ეუფლება 120 მოსწავლე.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**საინფორმაციო პროგრამა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	05 02 04		**55,9**	**56,0**	**58,0**	**60,0**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ფინანსდება საინფორმაციო პროგრამა, როგორც მედია ისე საგაზეთო მომსახურებები. რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს გაეცნოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.					
მოსალოდნელი შედეგი	იყვნენ სრულად ინფორმირებულები ქვეყანაში არსებული მდგომარეობით.					

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	**1 145,3**	**1 654,3**	**1 789,0**	**1 940,0**	**2 047,0**	**2 197,0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	**247,7**	**275,2**	**289,0**	**290,0**	**300,0**	**320,0**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	245,7	275,2	289,0	290,0	300,0	320,0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	2,0	-	-	0	0	0
06 02	სოციალური დაცვა	**897,6**	**1 379,1**	**1 500,0**	**1 650,0**	**1 747,0**	**1 877,0**
06 02 01	სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი	259,0	395,0	600,0	663,0	660,0	700,0
06 02 02	ომის ინვალიდების დახმარება	3,0	2,0	0	0	0	0
06 02 03	ახალდაბადებულების დახმარება	177,9	180,0	200,0	220,0	250,0	270,0
06 02 04	ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის	318,2	520,0	500,0	550,0	600,0	650,0
06 02 05	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	85,3	134,0	30,0	35,0	40,0	45,0
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათის ფასიანი სწავლების დაფინანსება	37,2	86,1	68,0	70,0	75,0	80,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
02 06 07	ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი	-	2,0	2,0	2,0	2,0	2,0
02 06 09	9 მაისის ღონისძიებები	-	-	-	0	0	0
02 06 10	ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად	17,2	60,0	100,0	110,0	120,0	130,0

პროგრამის და სახელება	კოდი	**საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უ საფრთხო გარემოს უზრუნველყოფა**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 01 01		**289,0**	**290,0**	**300,0**	**320,0**
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი					
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; დ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ე) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; ზ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაციია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სა					

	ნიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	**ექსტრემალური შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 01		**600,0**	**663,0**	**660,0**	**700,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევების (სოციალურად დაუცველ, შშმ ბავშვები),ონკოლოგიური დაავადების მქონე მოსახლეობას ამ დაავადებისთვის გათვალისწინებული გამოკვლევები, სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა დაფინანსება.მოსახლეობის გეგმური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების დაფინანსება.ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის და სს'სამედიცინო კორპორაცია ევექსი" ახალქალაქის ჰოსპიტალის შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტს მოსახლეობის (ასაკით პენსიოერების, 0-6 წლამდეე ბავშვების) სამედიცინო მომსხურეობის დაფინანსება: სოცილურად დაუცველი პირებისთვის (100 000 ქულამდე) ქირურგილი მოსახურეობა დაფინასდება 70%-ით 1500ლარამდე, გამოკვლევები 50%-ით 500 ლარამდე, ონკოლოგიურ დაავადებების მქონე პირებს და შშმ ბავშვებს ყველა სამედიცინო მომსახურეობისთვის 100%-ამდე 1500 ლარამდე. მოსახლეობის ქირურგიული მომსახურეობისთვის				

	მოთხოვნილი გადასახდელი თანხის მიხედვით ,ერთჯერადად, არაუმეტეს 2000ლარისა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ხარისხის გაუმჯობესება

პროგრამის დასახელება	კოდი	**მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 03				**0**	**0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	ითვალისწინებს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 1500 ლარის ოდენობით,					
მოსალოდნელი შედეგი	ომის ვეტერანების ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და თანადგომა.					

პროგრამის დასახელება	კოდი	**ახალშობილთა დახმარება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 03		**200,0**	**220,0**	**250,0**	**270,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დახმარება, ახალშობილის შეძენის შემთხვევაში. პირველი და მეორე ბავშვის შეძენაზე ოჯახი მიიღებს 250 ლარი, მესამე ახალშობილისთვის – 500 ლარი,მეოთხე ახალშობილისთვის – 800 ლარი, შემდგომი ყოველი ახალშობილისთვის 300 ლარით მეტი.					

მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება

პროგრამის დასახელება	კოდი	**ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 04		**500,0**	**550,0**	**600,0**	**650,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახების 0-100 000 ქულამდე დახმარების ოდენობა 200-1500 ლარ, სოციალური მდგომარეობიდან და დამატებით გამივლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე პროგრამით სარგებლობენ: მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი)-ერთჯერადათ 400 ლარიდან და შემდგომყოველ შვილზე დაემატოს 100 ლარი 84 ბენეფიციარი, იძულებით გადაადგილებულ პირები – დევნილები ერთჯერადათ 300 ლარის ოდენობით 34 ბენეფიციოარი, დედით და მამით ობოლი ბავშვები ყოველ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით 4 ბენეფიციარი, შშმ პირები- გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე მკვეთრად გამოხატული ხარისხი, ფსიქოლოგიური დაავადებების მქონე მკვეთრად გამოხატული ხარისხი ერთჯერადათ 500 ლარის ოდენობით , დამოუკიდებლად გადაადგილების პრობლემების მქონე (ეტლით მოსარგებლე) 1500 ლარი, მუდმივად მწოლიარე (საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ მომვლელს) ერთჯერადათ 500 ლარის ოდენობით, მხედველობით (უსინათლო) ან/და სმენადაქვეითებულ ბენეფიციარებს მკვეთრად გამოხატული შშმ პირები 500 ლარის ოდენობით,შშმ მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის 200 ლარი, შშმ ზომიერად გამოხატული ხარისხის 100 ლარი. შშმ ბავშვები 18 წლამდე 500 ლარის ოდენობით 83 ბენეფიციარი, ერთჯერადათ, დიალიზის კურსზე მყოფი პირები-ერთჯერადათ 2000 ლარის ოდენობით 18 ბენეფიციარი,100 წელს გადაცილებული პირები ერთჯერადათ 500 ლარის ოდენობით 2 ბენეფიციარი.ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება, ქვეპროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები.					
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების,მოწყვლატი ჯგუფების სოციალურ ეკონომოკური მდგომარეობის გაუმჯობესება მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. პოლიტრეპრესიული,დევნილთა ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა შეზღუდული შესაძლებლობისდა განსაკუთრებული მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა,სიცოცხლის ხარისხის ამაღლება. ჰემოდიალიზის სეანსზე მყოფი მოქალაქეების სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის					

	ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია,სიცოცხლის ხარისხის ამაღლება. სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	**ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 05		**30,0**	**35,0**	**40,0**	**45,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ფართის დაზიანების, საცხოვრებლად გამოუსადეგარ, ავარიულ სახლში/ბინაში ცხოვრების შემთხვევაში ერთჯერადათ 1500 ლარამდე სამუშაო ჯგუფის ადგილზე შეფასების შედაგად.ამ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართზე ხანძრით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 2000 ლარამდე.ასევე ამ ქვეპროგრამით სარგებლობენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახები ან/და მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც ცხოვრება უხდებათ ღია ცის ქვეშ, არაადამიანურ პირობებში ან ნებისმიერ სხვა ცხოვრებისთვის მიზანშეუწონელ ადგილას უზრუნველყოფილნი იქნებიან დროებითი საცხოვრებელი ფართით ან ქირით თვეში არაუმეტეს 200 ლარი.					
მოსალოდნელი შედეგი	ხანძარისა ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 60 ოჯახის დახმარება.სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა და სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ შემსუბუქება. პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.					

პროგრამის დასახელება	კოდი	**მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 06		**68,0**	**70,0**	**75,0**	**80,0**

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: აკრედიტებულ სასწავლებლებში სწავლის (საბაკალავრო) საფასურის დაფინანსება, დახმარება გაეწევა სტუდენტებს შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე (მკვეთრად,მნიშნელოვნდ გამოხატული ხარისხი), დედმამით ობლები, მარჩენალდაკარგული (25 წლამდე), მრავალშვილიანი ოჯახებიდან (4 ან მეტი შვილი, 25 წლამდე) და სოცილურად დაუცველი ოჯახებიდან, სტუდენტებს იმ ოჯახებიდან, რომელ ოჯახშიც არის სამი ან მეტი სტუდენტი. დაფინასდება სწავლის საფასურის 50% არაუმეტეს 1000 ლარის. აგრეთვე ა(ა)იპ – სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება შემდეგ კატეგორებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შვილები, შშმ ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახებიდან ბავშვები, დედით ან/და მამით ობოლი ბავშვები, სოცილურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვები. პროფესიულ კოლეჯების სწავლის საფასური. მარტოხელა მშობელი სტუდენტები მაქსიმალური ასაკი 27 წელი.
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება,რადენობის ზრდა.

პროგრამის დასახელება	კოდი	**ომში მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯები**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში
	06 02 07		**2,0**	**2,0**	**2,0**	**2,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა (250 ლარი) და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსება 1000 ლარი . ასევე ძალოვან სტრუქტურებში საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.					
მოსალოდნელი შედეგი	სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება					

პროგრამის დასახელება	კოდი	**ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად**	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2024 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში	დაფინანსება 2026 წლის ათას

						ლარში
	06 02 10		**100,0**	**110,0**	**120,0**	**130,0**
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება					
პროგრამის აღწერა და მიზანი	გათვალისწინებულია ფინანური დახმარების გაწევა მედიკამენტებისათვის, შესაბამისი საჭიროების მქონე პირების სამედიცინო საშუალებებით უზრნველყოფა. დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველ პირებზე 100 000 ქულამდე არაუმეტეს 600 ლარი , შშმ ბავშვებზე არუმეტეს 1000 ლარი,შშმ ვეტერანებზე არაუმეტეს 600 ლარი, ონკოლოგიური დაავადებისმქონე პირებზე არაუმეტეს 1000 ლარი, ოფთალმოლოდიური დაავადების მქონე პირებზე ავასტინის ინექციის საჭიროების შემთხვევაში არუმეტეს 1000 ლარი. შშმ მკვეთრად , მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე პირებს მედიკამენტების შესაძენად 600 ლარამდე.					
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარება-დასვენებაში ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.					

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის დაფინანსებას.

ორგ. კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**3 217,3**	**5 216,3**	**5 368,8**	**5304,5**	**5567,5**	**5850,5**